


გაყვანილი ფასები:

Table with 4 columns: Issue No., Price per copy, Price for subscribers, Price for advertisers.

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

"ივერიის" ტელეფონი № 227.



ივერიის

რედაქცია ქ. თბილისი, ნიკოლოზის ქუჩა, კვლევითი ტფილისი. გაზეთის დასაბამად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვა გამოვრც. საზოგადოების კანცელიაროს. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეორეზედ — 8 კაპ.

"ივერიის" ტელეფონი № 227.

დღესასწაულის გამო შეშუპებული ნომერი გამოვა წარსაკვესი. 16-ს ნოემბერს.

ქართული თეატრი

სუთშაბათს, 15 ნოემბერს, 1901 წ.

ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილის სახეივნისოდ

მართლის დამამართლის საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ვ. აბაშიძის მონაწილეობით პირველად ახალი პიესა

„მგლები და სხპრები“ კომედ. 5 მოქმ. ოსტროვსკისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

„დედის მართა“ კომ. 1 მოქმ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ტასო აბაშიძე, ნებიერიძისა, ლევაია, მღვიანი და თამაზიშვილი; ბ-ნი: აბაშიძე, გუნიასი, სვიმონიძე, გამყრელიძე, გვედუაძე, აწყურელი, შატირიშვილი, იმედაშვილი, სარჯველაძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ. რეჟისორი ვ. გუნიასი. მზადდება წარმოსადგენად „სანატრელი ცოლი“, „ანდროტი“, „ტარტიუფი“ (3-უ-2)

ოფიციალური ქალაქის თვით-მმართველობა ამით აცხადებს, რომ კრება ქალაქ ოზურგეთის მამულის პატრონთა, უმაღლესად ნება დართულ დაკლებულ რწმუნებულთა დამატებით არჩევნებისათვის, დანიშნულია რვა დეკემბერს 1901 წ. დილის ცხრა საათზედ ოზურგეთის მაზრის სამმართველოს დარბაზში. (3-238-2)

ტფილისის კერძო სამკურნალო ევანჯელიათაათვის კრაოტები (ერთი უფასოა). მისიელ გედუანიშვილისა. კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი აბიანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ). ტელეფონი № 274. ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა. დილით: 3. ი. მიწინაძე — კბილის სნეულებანი, 8—10 საათ. მისიელ გედუანიშვილი — ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ. 4. გ. ზვადარცია. შინაგან და პარაზიტებისა. 9—10 ს. 5. მ. მალალაშვილი. — შინაგან; საშუალოდ და ხუთშაბათობით, 10—11 საათ. 6. ა. მულინი — ყურისა, ყელი-სა და ცხვირისა — 10—11 საათ. 7. პ. ახალაშვილი — კბილის სნეულებანი. 10—12 საათ. 8. მ. შატილოვი — თვალის, 10—11 საათ. 9. მ. მამლახიძე — ხელებისა — 11—12 ს. 10. ა. გედუანიშვილი — ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ. 11. გ. ბარსუკოვი — დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ. 12. ა. მ. მონიძე — ხირურგიული (სადოსტაქრა) ხუთშაბათობითა და შაბათობით — 1—2 საათ. 13. ი. ზვადარცია. სიფილისისა, კანისა და საზარდესი, 1 1/2—2 ს. 14. ს. ა. მალინი — დედათა სნეულებანი. 5—6 საათ. 15. კ. კობახიძე. 8. 8. მალალაშვილი — 10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა. სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები. ფასი ჩრევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები — მორიგებით.

ახალი ამბავი

\* \* \* დღეს, 14 ნოემბერს, მისი იმპერატორების უდიდებულესობის ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულის დაბადების დღეს, ექსარქოსის ეკლესიაში წირვის შემდეგ გარდახდელ იქმნება სამადლობელი პარაკლისი. წირვა დაიწყება დილის 10 საათზედ.

\* \* \* ხვალ, 15 ნოემბერს, მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავარი გიორგი მიხეილის ძე ბორჯომიძის ბალაჯარის გზით პეტერბურგს წავა.

\* \* \* გზათა მინისტრის ნება (აღურთავს ბაკურაინის რკინის გზის უტო-ზედ დაბასა, ცავერსა, ნიკოლაევსა და სახინავეში ნახევარ სადგურები იქმნას დაარსებული, სადაც მგზავრების ჩასხმა და გადმოსხმა, აგრეთვე ბარგის გაგზავნა-გამოგზავნა შესაძლებელი იქმნება მხოლოდ იმ პირობით, რომ მთელის გზის ტარიფი გარდახდეთ ხოლმე; ამის შესახებ ცალკე ტარიფი იქმნება გამოცხადებული.

\* \* \* როგორც მოგვხსენებთ, რკინის გზის მსახურნი წამალს რკინის გზის აფთიაქიდან იღებენ იმ რეცეპტით, რომელსაც რკინის გზის ექიმი გამოუწერს ხოლმე. მაგრამ რადგანაც თვითონ მსახურნი ხშირად შორსა ცხოვრობენ და წამლის მისაღებად რკინის გზის აფთიაქში წასვლა-წამოსვლა ბევრად ძვირად უჯდებათ, ვიდრე თვითონ წამალი ღირს, ან ვერა სარგებლობენ ამ უფლებებით, 10 ნოემბერს რკინის გზის მთავრობის განკარგულება მოუხდენია, რომ ამიერიდან რკინის გზის აფთიაქიდან წამლები მუდამ თვითონ რკინის გზის კაცებმა მიიტანონ ხოლმე გამგეობაში.

\* \* \* საერო განათლების სამინისტროში ღაბაშვილი ადრული იმის შესახებ, თუ საშუალო სასწავლებლების ორის უკანასკნელ უფროს კლასის მოწაფეთ რა ნაირად უნდა ეძლეოდეთ ხოლმე დაუბრკოლებლივ ნებართვა სამოწაფეთა უფროსების გამოცემისა, რომლის რეცეპტორადაც ერთი რომელიმე მასწავლებელი უნდა იყოს.

\* \* \* ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ქალაქის საბჭოს, რომ ქალაქის თხოვნა ტფილისში მოტანილ საქონელზედ ფუთუფულ გარდასახადის შემოღების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარედგინა ჯერ ისევ 1897 წლის 12 ივლისის განსახილველად.

\* \* \* ფინანსთა სამინისტროსთან მალე საგანგებო კომისია იქმნება შემდგარი იმის შესახებ, თუ ყალბ

სასმელ-საჭმელისა და სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების წინააღმდეგ საბრძოლედ რა ღონისძიება უნდა იქმნეს მიღებული. კომისიაში მიწოდ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელიც მიიღებენ მონაწილეობას.

\* \* \* ქიათურის რკინის გზის უტო-სათვის 87 დახურული და 113 ღია ვაგონი შეუქცევითათ.

\* \* \* გზათა სამინისტროს ნება დაურთავს ჩაქვის საუფლისწულო მამულების მსახურთათვის ბათუმსა და ჩაქვის შუა საქონლის მატარებლებით სიარულისა მე-III კლასის ბილეთებით.

\* \* \* კავკასიის სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა 21 ნოემბერს დაიკეტება. გამოფენის გამგე კომიტეტმა კავკასიის მთავარ-მართველს გამოფენის დაკეტვის ნებართვა სთხოვა და იქმნათა აგრეთვე მთავარ კომიტეტს, რომ დანიშნულ დღისათვის გამოფენილ ნივთების ექსპერტისა დამთავრებულ იქმნეს.

\* \* \* როგორც ქუთაისის სადგურიდან იწყებებან, 12 ნოემბერს, ნაშუადღევს 5 საათზედ, ორი ორთქლ-მაგალი ერთმანეთს დასჯახებია. ორთქლ-მაგლები დალიანდავი დაზიანებულა, მაგრამ ხალხი არ დაზარალებულა.

\* \* \* გუბერნიის ბერითალთა კრებამ 12 ნოემბერს დაამთავრა თვისის საქმეების განხილვა და დაიშალა.

\* \* \* როგორც აქარიდან გვატყობინებენ, ნოემბრის სამს ჰაჯი-კილიჩ-ოღლიმ თოფით მოპკალა ქიფარა პარტენაძე. როგორც თვითონვე გამოტყდა, ჰაჯი-კილიჩ-ოღლის ძმის სისხლი აუღია.

\* \* \* ხვალ, 15 ნოემბერს, ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიის მიმდინარე საქმეების განსახილველად საღამოს 8 საათზედ ქალაქის გამგეობის სადგომში სხდომა ექმნება.

\* \* \* 17 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე თოფის მარცხის უფროსად ნამყოფის ფურცელაძისა, რომელსაც სამსახურის დროს ბოროტ-მოქმედების ჩადენა ჰპარაღებია.

\* \* \* გუშინ, 13 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის პირველმა დეპარტამენტმა დაამტკიცა ოლქის სასამართლოს, გარდაწყვეტილება, რომლითაც თედო ნიკუჩაძეს კაცის მოკვლისათვის გარდაწყვეტილი ჰქონია ზოგიერთ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში 1 1/2 წლის ვადით გაგზავნა.

გამგეობა გუნიასის ამხანაგობის მუშაგულისა. აცხადებს: რომელ წევრზედაც ითვლება აბრეშუმის თესლის ან სხვა ნისია რომელიმე წლისა, თუ არ შემოიტანს ამა წიგნების გასვლამდის, ვალი გამოერიცხება წილის ფულიდან, წესდების და კრების დადგენილების თანახმად, და არ გაგზავნება მოწვევის ბარათი საზოგადო კრებაში მონაწილეობის მისაღებად. გამგე ს. ტეიშვილი. (5-6-11).

პირველი კერძო სამკურნალო

მისიელ გედუანიშვილისა. კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით: 8. ა. ნაზარდინი. 11—12 ს.

სადოსტაქრა, ვენერიული (სიფილისი) და საზარდეს ავადმყოფობანი.

9. მ. ჩიკოვანი. 9—10 საათ სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

10. ი. ბაბუნაშვილი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

11. ი. მამლახიძე. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

12. პ. პარაზიტიაშვილი. 1—1 1/2 ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

სადგომი: 6. მ. რუსთომჯანი. 5—6 ს. სპირიტუგო და კანისა. 7. ა. ნაზარდინი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიული ავადმყოფობათა. 8. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7 1/2 ს. 9. ს. ა. არვანიძე. 11—1 ს. გაუკეთებეს სახლში მსურველთ „მასსაჟი“, აუტრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშნით. 10. ა. ნაზარდინი. 7 1/2—8 ს. რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსულიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით. 11. დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. Первая частная лечебница — д-ра Навасардиана. Тифлиси, противъ памят. Воронцову.

ქართველთა ქალთა ამხანაგობის სამკურნალო და სახელოსნო სკოლაში იღებენ ყოველგვარ საქმეს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და სხვადასხვად ამოპკირავენ ნიშნებს (МБТКИ). ბარონის ქუჩა, № 12. (20-უ-3)

მკურნალო მისიელ გედუანიშვილი იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. ყორღანოვის ქუჩა, 16, საქ. სახლი. ტელეფ. 791. (5.)

\* რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი—„ვლენე“, ამბავი „ქართ-ველ მაჰმადიანთა ცხოვრებებიდან“ —ძირელისა, გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. წიგნაკი ღირს შურად.

### ქალაქის საზოგადოება

ორშაბათს, 12 ნოემბერს-სხდომაზედ ტფილისის ქალაქის საბჭომ 23 საქმიდან მოასწრო მხოლოდ ოთხი-ხუთი უმნიშვნელო საქმის განხილვა. კრების დაწყებისათვის ქალაქის მოურავის მოადგილემ ამცნო საბჭოს, რომ 9 ნოემბერს ბათუმში უცხრად გარდაცვალო ქალაქის მოურავი ლუკა ნ. ასათიანი. გამგობამ, გაიგო თუ არა ეს ამბავი, გარდასწყვიტა სამძიმრის დეპეშის გაგზავნა და 50 მანეთისა, რომლით ნაყიდ გვირგვინითაც განსვენებულის ცხენდარი უნდა შეეძქათ ქ. ტფილისის სახელით; ამასთანავე მოურავის მოადგილემ ბნა შესტაკოვა სთხოვა საბჭოს ფეხზედ აღვართ პატრეცათ განსვენებულის სახელისათვის, რაცა საბჭომ შეასრულა.

შემდეგ მორიგ საქმეების განხილვას შეუდგნენ. მოურავის მოადგილემ წაკითხა გამგობის დადგენილება, რომლითაც ქალაქის 15 მცხოვრებელთაგან რამდენიმეს უნდა ებატოს მათზედ დარჩენილი დასაფასებული გარდასახადი ჯარიმით და ზოგმა ორის წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ უნდა გადაუხადოს ქალაქს. საბჭომ შემდეგ დამატარა ამ საქმის შესახებ გამგობის გარდასწყვიტვება კარგა ხანს კამათი გამოიწვია ქალაქის მოიჯარადრის არაქლოვის საჩივარზე გამგობაზედ. საქმე იმაშია, რომ არაქლოვის ქალაქის საყაბოსთან გაუკეთებია იჯარით სახლი, რომლის აშენების დროსაც, მისის განცხადებით, ზედმეტი საქმე გაუკეთებია 862 მან. და უზარალოდ 1000 მანეთამდე; რადგანაც გამგობას ხელშეკრულება ჰქონია არაქლოვთან და მეტს სამომავლზე არაფერი არ უთქვამს წინდაწინ, გამგობას უარი გამოუცხადებია მისთვის. ამის გამო მას საჭოხათვის მიუძღრობს საჩივრით. ამ განცხადებამ ცხარე კამათი გამოიწვია, რადგანაც აღმოჩნდა, რომ გამგობას არაქლოვის განცხადება არ შეუპოვნებია, უარი ისე უთქვამს. კარგა ხნის კამათის შემდეგ საბჭომ ხმის უმეტესობით გარდასწყვიტა გარდაეცვს ეს საქმე განსახილველად ხმოსანთა ტეხნიკოსებს. საბჭოს სხდომა 10 საათზე დაიხურა.

### წმიდა ნინოს სახსოვრად დასაბარსებელის საზოგადოებისათვის

მოწიწებით ვავლებთ თვალს ქართველ ხალხის საპოლიტიკო და სარწმუნოებრივს განუწყვეტელს ბრძოლას წარსულ ათას ხუთასი წლის განმავლობაში ქრისტიანობის მტრებთან, რომელნიც მუხრუჭით გარს ერტყნენ საქართველოს და სცდილობდნენ—შეერყიათ საუკუნოებით დამკვიდრებული მმართველი დიდებლობა და აღგვავათ პიროსაგან ქვეყნისა თვით საქართველო.

მოწიწებით ვავლებთ თვალს ყოველსავე ამას და ვაკვირვებს ის სიმხნე და გმირობა, რაცა გამოიჩინა ამ განუწყვეტელს ბრძოლაში ქართველმა ხალხმა.

უზარ-მაზარი შენობები ქართულ ეკლესიებისა და მონასტრებისა, დღემდის დაცული კავკასიის ყოველს კუთხეში, მაჩვენებელია ქართველ ხალხის სარწმუნოებრივის ძალისა და მალაღის კულტურისა.

ამ ეკლესია-მონასტრების ნაშთები მაჩვენებელია აგრეთვე იმისიც, თუ რა მალაღს ხარისხამდე ასულა ქართული ხუროთმოძღვრების განვითარება; მათი ზედწარწერანი და ჩუქურთმები ხშირად ძვირფასი მასალა არის გმირულის ისტორიისათვის რიცხვით მცირე, მაგრამ სულით ძლიერის ქართველის ვრისა.

ეს ნაშთები უტყვი მოწმეები არიან ქართველ ხალხის ისტორიული ცხოვრებისა; ისინი თავის დღევანდელ, სანახევროდ დატყუულ, მღვთმარობითაც მოუთხრობენ მომავალ თაობას სახელოვანს, სისხლის ღვრითა და საგმირო საქმეებით სავსე წარსულს წინაპრებისა.

დაზავებული ნაშთი უზარ-მაზარ ეკლესია-მონასტრებისა თავიანთ მრავალ-საუკუნოების ხნოვანებით საყვედურის კილოთი ამცნებენ თანამედროვეთ თავიანთს ძალას, ცხოველ-მყოფელობასა და არსებობის უფლებას. ათას ხუთასი წლის განმავლობაში ისინი იყვნენ მოწმედ ქართველ ხალხის განუწყვეტელს ბრძოლისა შინა-სული მძინვარე მამადანებთან. ამ ეკლესია-მონასტრებმა ღირსეულად დაიმსახურა „საომარ“ ადგილების სახელი: დღემდის დაცული გალანები ქანჯურებით და შიგ დატანებულ სათაფურებით საუკეთესო საბუთია ამისი.

ასეთს ეკლესია - მონასტრებში ძველი ქართველები იძენდნენ სარწმუნოებას, იმედს, ძალას და მათს მეოხებით იბრძოდნენ დასაცველად მართლ-მადიდებლობისა, რომელსაც ედავებოდნენ მათ სხვა-და-სხვა ერნი. ეს სხვა ხალხნი შურით შეჰყურებდნენ საქართველოს აღორძინებას და ცდილობდნენ დაესუსტებინათ ბოზანტიის კეთილნაყოფიერი გავლენა ამ ქვეყანაზე.

როგორ დაეფასოთ ამ წმინდა სავანეთა სულიერი გავლენა ჩვენს წინაპრებზე? ვინ იცის, ეს გავლენა ეგების ისეთი იყო, რომ მხოლოდ მას უნდა დაეუმადლოთ თანამედროვე ქართველებმა თუ მმართველი დიდებლობა შევიჩინეთ.

ამიტომაც სამართლიანობა გვავალდებს ეხლანდელ ქართველებს ვიზრუნოთ, სანამ ჯერ კიდევ დროა, ამ წმიდა სავანეთათვის, თორემ თუ ჩვენ არ ვუშველოთ, მათს არსებობას ძირს უთხროს დროთა სტიქიონი.

ერთმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც საქართველო ნებით შეუერთდა რუსეთს და მშვიდობიანობა დაეპარა ჩვენს მხარეში.

თუ მღვლავარე წარსულში, როცა სუვევედა ბრძოლა, ცეცხლი და მახვილი, ქართველი ეკლესიაში იკრებდა თავის ძალას, ამ მშვიდობიანობის დროს მით უფრო აუცილებლად საქირთა მისთვის ზნებრივ-სარწმუნოებრივი და სულიერი განათლება. და სად, თუ არ ამ წმი-

და სავანებში, ამ ცხოვრების წყაროსა და ცხოვრების მომნიჭებელ ადგილებში უნდა დაეწყოთ ქართველი ერი სასულიერო აღზრდას, აქ უნდა მოიპოვოს მან ზნეობრივი სიმტკიცე და მოსვენება ცხოვრების საჭირობოროტო გზაზე.

მაგრამ, როგორც ზემოთა ვსთქვიტ, უმეტესი ნაწილი ამ ეკლესიისა დანგრეულია, ბევრს მათგანს წვიმა ჩადის სახურავიდან. ქართველები მწუხარებით უმზერენ ამ მივიწყებულ წმიდა სავანებს, რომელთა პატივისცემა, სამწუხაროდ, მხოლოდ ხატობის დღეს გაახსენდებათ ხოლმე.

თუკი ყოველგვარი კაცთ მოყვარე და ქველ-მოქმედი საზოგადოებანი გვაქვს დაარსებული, დროა დავაარსოთ ჩვენში, ამ თვალ-უწვდენი რუსეთის შორეულს განაპირა ქვეყანაში საზოგადოება წმ. ნინოს სახსოვრად. ამ საზოგადოების წევრობა მოვალეობა უნდა იყოს დაცვა განადგურებისა და მტაცებლობისაგან წმიდა სავანეთა და მათი რეკეთება. ასეთს საზოგადოების დაარსება ამ დროის ბეჯითს მოთხოვნილებას შეადგენს.

ასეთი საზოგადოება დაუფასებელს სარგებლობას მოუტანს, არა თუ მარტო სარწმუნოების მხრივ არამედ სახელმწიფო ინტერესებსაც, რადგანაც იგი აღორძინებს მამადიან სახელმწიფოს საზღვარებზე მართლ-მადიდებლობის ბურჯებს, საიდგანაც რამდენიმე ასი წელია მას აქეთ რაც ზარის ხმა არავის სმენია და ხალხი არ შეგვედრებია დმერთს ქემპარიტებისას.

ამ ნაკლის შესავსებათ ამ ჟამად არსდება საზოგადოება წმ. ნინოს სახსოვრად. წესდება უკვე დამტკიცებულია სათანადო მთავრობისაგან.

იმედია, ქართველი საზოგადოება თანაგრძობით მიეგებება ამ კეთილი მიზნის მქონე საზოგადოებას, და ხელს შეუწყობს მისს დამარსებლებს, რომელთა წმინდა განზრახვას ჩვენს გულს თაღს მადლობას ვუძღვნით.

ბორის ესაძე

### ნ ა რ კ ვ ე ვ ი

„Черноморский Вестник“-ის მე-251 №-ში, სხვათა შორის, შემდეგსა ვკითხულობთ ახლად მიცვალვულ იქაურ ქალაქის მოურავ ლუკა ნიკოლოზის ძის ასათიანზე:

„მისი მოღვაწეობა სამუდამო ხსოვნას დასტოვებს ბათუმში: ლ. ნ. ასათიანის ქალაქის თავობის დროს ბევრი რამ იქმნა გაცილებული ქალაქის როგორც გარეგან მოწყობისათვის, ისე სულიერის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ლუკა ნიკოლოზის ძის დროს გაიმართა ელექტრონის განათება, ლომბარდი, მოკარწყული ქუჩები, ნუროის საგარტო ქულებქები, ქალაქის სახლი, დიდი საავადმყოფო, ამოაშრეს ტბები, ააგეს ცეცხლისათვის თვალსადგენი კოშკი, ახალი სასკალო, ორი გიმნაზია—ქალბებისა და გენებისათვის და ქალაქის ექვს კლასიან სასწავლებლის შენობა. გარდა ამ დასრულებულ ანუ თითქმის დასრულებულ საქმეთა, განსვენებულის დროსვე ბევრი რამ იყო ნაფიქრი და ნაგულვები და პრინციპულურად კიდევაც გადაწყვეტილი, მაგრამ შესრულება ვერ მოასწრეს უსადსრობისა გამო. ასეთს პროექტთაგანს ვაუთუნის წყლის გამოსაყვან მილის გა-

კეთება (დღე და ღამეში 600,000 ვედ.) ტრამვაი, ქალაქის თეატრი და სხვ. საკვირველი იყო განსვენებულის ლ. ნ. ასათიანის ენერჯია, რომელმაც არ უმტყუნა მას არც მოხუცებულობის დროს, თუმცა ბოლო ხანებში იმისი ქჯანმრთელობა შერყვეული იყო. ამ შერყვეულ ჯანმრთელობით აისხნება ის სიმძიმე, რაცა ბოლო ხანს ეტყობოდა საქმეებში რისთვისაც აუფერადნენ კიდევ განსვენებულის განსაკუთრებული ნიჭი ის იყო, რომ ყოველთვის ნათელი წარმოდგენა ჰქონდა ხოლმე საქმეთა მდგომარეობაზე და დიდი წინდახედული იყო. ამიტომაც ის, როგორც საბჭოს თავმჯდომარე, სამავალითო იყო და სავანს გადამცდარ მოლაპარაკე ხმოსანს ყოველთვის დროზე შეაჩერებდა ხოლმე.“

დიდად სასიამოვნოა ამის ამოკითხვა „Черноморскій Вѣстн.“-დან. შეგვიძლიან დავარწმუნოთ ბატ. პალმის გაზეთი, რომ სანამ ლუკა ნიკოლოზის ძის მიმწვევთა და ამომრჩევლთა ხელში იქნება იქაური თვით-მმართველობის საქმე, ბათუმს შემდეგშიც არ მოაკლდება ღირსეული წარმომადგენელი

### დაბა ტ სოფელი

სოფ. დილიკაური (შორაპნის მაზრა). სოფ. დილიკაური ყვირილის ხეობის მარჯვენა ნაპირზედ მდებარეობს დაბ. ჭიათურასა და ხესტაფონს შუა-პირველზედ დაშორებულია 25 ვერსით, ხოლო მეორეზედ—10 ვერსით. დილიკაური მდიდარი სოფელია, სადაც 200 კომლამდის ხალხი სცხოვრობს სამისავე წოდების. ამათში უმეტესი ნაწილი გლეხებია. დილიკაურში მიწის ნიადაგი ძალიან კარგია; აქაური ღვინო და სიმინდი მთელს შორაპნის მაზრაში განთქმულია; განსაკუთრებით კარგს მემამულეებთან დილიკაურში ითვისებთ თავ. აბაშიძეები და აზნ. ქადაგიძეები. ტყეც ბლომად აქვს ჯერ დილიკაურსა, მაგრამ გარშემო უტყეო სოფლები არტყია და თუ ეკანომით არ მოპყრენ ტყეს აქაური მცხოვრებნი, ამათაც მალე გამოე-ლევით ხე-ტყე. დილიკაურში ძალიან მეცადინი ხალხია: გადადიან ჭიათურაში შავიქვის საწარმოებლად და ფულებს ბლომად შოულობენ, მაგრამ საზოგადო საქმისათვის აქ გული არავის შესტკიცავ, ყველა საკუთარ კუქისათვისა ჰზრუნავს.

ამნაირად დილიკაური არც მდებარეობით და არც ბუნებრივ სიმდიდრით შორაპნ-ს მაზრის არც ერთს სოფელს არ ჩამორჩება, მაგრამ სწავლა-განათლების მხრივ ბევრს მეზობელ სოფლებს არის ჩამოკლებული. ურევან მცხოვრებლებში სამშობლო ენაზედ წერაკითხვის მცოდნენიც, როგორც ზემოდ მოვახსენევით, შეძლებითაც კარგი შეძლება აქვთ, მაგრამ ჟურნალ-გაზეთების გამოწერითა და კითხვით თავს არაიენ არ იწყებებს. ამ სოფლის შვილია, მაგ., ჩვენი ახალგაზრდა პოეტი გრ. აბაშიძე, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, იგი კარგა ხანია ქ. ქუთაისში გადავიდა საცხოვრებლად ტბლო პოეტი მხოლოდ სტუმარი თავის სოფლისა.

დილიკაურში ამ ჟამად ერთადერთი სამრევლო საეკლესიო ერთკლასიანი სკოლაა, რომლის წარ-

მატებისათვისაც აღნიშნული მღ. მ. სპირიდონ ქიპაშვილი ჰზრუნავს. მაგრამ აქაური ხალხი იმდენად გულკვივა სწავლა-განათლებაზედ, რომ ჯერ არ უნდათ თავისი შვილები სკოლაში ატარონ და, თუ მოინდომეს, მხოლოდ მაშინ უშვებენ თავიანთს შვილებს სკოლაში, როდესაც საოჯახო საქმეს მოაწყლიან და შინ აღარა სჭირდებათ. რასაკვირველია, ასეთი გარემოება სკოლას ძლიერ აფერხებს და უკანა სწევს.


დილიკაურს აქვს ხის ეკლესია, რომელშიაც დიდი ხანია წვიმა ჩამოდის და შეკეთება სჭირდება. ამას ადგილობრივმა სასულიერო მთაფრობამ თავისს დროზედ ჯეროვნად უურადლება მიატყია, შეადგანაკომიტეტი, რომელსაც ფულის მოგროვება და ეკლესიის შეკეთება დაავალა კომიტეტიც (შესდგება სამის გლეხისა და ერთის აზნაურისაგან) მეცადინეობს რაც შეიძლება, მაგრამ აზნაურებსა და გლეხებს შუა რაღაცა ჩვეულებრივი ქიში და უთანხმოებაა ერთხელვე, ამის გამო კომიტეტმა ჯერ ვერა გააწყრა და წვიმა ისევ თავისუფლად ჩამოდის ეკლესიაში.

არც გზები უვარჯა ამ ჩვენს სოფელს. რკინის გზის სადგურ „ბოსლევოდან“ დილიკაური 3—4 ვერსით არის დაშორებული (სადგური „ბოსლევო“ ჭიათურას რკინის გზის შტოზედაა), საიდგანაც მეტად ცუდი გზაა დილიკაურამდის. მგზავრმა ჯერ ვერს ნახევარი აღმართი უნდა აიაროს წვრილ საცაღფებო ბილიკით, რომელზედაც ცხენის ავლა მხოლოდ დიდის გაჭირვებითა, შინთა და სიფრთხილით თუ შეიძლება; ერთი რომ დაუსხლტეს ფეხი, ცხენი იქნება, თუ აღმიანი, იქ გასაჩერებელი ადგილი აღარასად არის, ძირს ქალაში ამოჰყავს თავისა დამტვრეულ-დაგლეჯილი. ვერს-ნახევარს რომ გაივლით, მერმედ ადგილამდის მიღწევა არ უნდა? ეს გზაკი ყველასათვის საჭირო და აუცილებელია, რადგანაც, რკინის გზის მგზავრებს გარდა, ამ საცაღფებო და სამიშოა გზით დაიარებიან როგორც კერძოდ დილიკაურისა, ისე სრულიად ბოსლევის საზოგადოების მცხოვრებნი, რომელთაც სასოფლო კანცელარია ბოსლევში აქვთ.

გვიკვირს ასეთი უყურადღებობა და დაუდევრობა ბოსლევის მამასხლისისა, რომელსაც ადვილად შეუძლიან გამოიწვიოს თავისი საზოგადოება და ეს ყველასათვის საჭირო და აუცილებელი გზა გააკეთოს.

მეორე გზა დილიკაურს დაბა ხესტაფონიდანაა აქვს, რომელზედაც ურემები და ცხენები თამამად დადიან; ეს გზა 5—6 წლის წინად გააკეთეს, საზრჩობი და საფლობი ტალახები აღარა დგებოდა დღემდის, მაგრამ დღეს ეს გზაც შესაკეთებელია ალაგ-ალაგ, რადგანაც დილიკაურში უზომო და თავმოახებურებელი ტალახები იცის ცუნდა ამინში. ურიგო არ იქნება, ვისგანაც ჯერ-არს, დილიკაურის გზებს უურადლებას მიატყევდეს. დილიკაურში ამ ბოლოს დროს წვრილი ქურღობა გახშირდა.

ბ. ვაშაძე



უცხოეთი

ინგლისი.

ერთს ინგლისურს გაზეთს ბურების შესახებ შემდგენსა სწორს კორესპონდენტი სამხრეთ-აფრიკიდან: „სამწუხაროა, მაგრამ მინც არ შეიძლება არ ვაღიარო, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენ წინააღმდეგ მებრძოლ ბურებისა ბურთა რესპუბლიკებისა და კანის ახალშენის საუკეთესო წრეებს ეკუთვნის. შეცდომა ის არის, ვითომც ჯარისკაცებს ბურები გადაკარგულ ადგილებში ჰკრებდნენ გაუხადებელს წრეებში. პირიქით, ბრძოლას ეხლა დიდის მუყაითობით ეკიდებიან ინტელიგენტები და მდიდარი ფერმერები, რომლებიც წინააღმდეგობას ამჟღავნებენ და დიდად მხიშნებლობას ადგილებს ეჭირათ. საყოველთაოა გახდა ის შეხედულება, რომ ბურთა რესპუბლიკების დაპყრობა ყოველად შეუძლებელი იქნებოდა, თავიდანვე ისეთი ენერჯია და მხურვალეობა რომ გამოეჩინათ ბურებს, როგორც ეხლა ემჩნევათ.“ იმავე კორესპონდენტის სიტყვით ბურთა რესპუბლიკების ორგანიზაცია შემდეგია: ბოტას ოთხი ხელკეტითი გენერალი ჰყავს: დელარეი, რომელიც პრეტორიის დასავლეთით მმართველობს, ბენ ვილიონი, რომელიც აღმოსავლეთის და სამხრეთის მხრით მმართველობს, გენერლები გერცოგი და ქრისტინ დევეტი, რომლებიც იქ მმართველებ, სადაც სპირთა ხოლმე. თითოეულს გენერალს 800-იდან 2000-ამდე ჯარისკაცი ჰყავს. გარდა ამისა ამ გენერლებს ემორჩილებიან წვრილი რაზმები, რომლებშიც 100-300 კაცი ითვლება.

საზრანგეთი.

ადმირალის კიუ-გერგლოის მეუღლის მეთაურობით საფრანგეთში დაარსდა „ქალია ლიგა“, რომელსაც აზრად აქვს ქალებს მონაწილეობა მიიღონ ანტიპოლიტიკურ ცხოვრებაში. „Figaro“-ს სიტყვით ლიგას გადაწყვეტილი აქვს, მხარი დაუჭიროს იმ კანდიდატებს, რომლებიც პირობას დასდებენ დაიცვან სამი პრინციპი: პაკუთრება, სამშობლო და თავიუფლება. ლიგისაგან გამოცემულს პოპულარულ სხვათა შორის, ნათქვამია: „როგორც ქალები, ჩვენ თანაუბრობით ღირსებას ხალხს, მაგრამ უარსაც ვაყენებთ, რომელიც უარსცავთ სოციალიზმს, რომელიც აბრკვევს და ატყუებს ბევრ ჩვენი საზრანგეთის ქალებს, ჩვენ გვიყვარს საფრანგეთი და, უარსცავთ და კოსმოპოლიტიზმს, ვთხოვლობთ, რომ საფრანგეთს ფრანგული მმართველობა ჰქონდეს. ჩვენ გვინდა, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე ველებს სინდისის თავისუფლება ჰქონდეს მინიჭებული; მოხელეებს ვაძლეოვებთ, ბერებს და მონაწილეებსაც აქვთ სინდისი, და ჩვენ მათთვის ვითხოვთ თავისუფლებას.“ ამ ლიგას უკვე 500 თითო ქალია ლიგის წევრი ჰყავს; თითო წევრი ელიწადში 1 ფრანკს ახდის და ისრაულობს სხვა წევრებიც უშოლის. „Figaro“-ს სიტყვით ლიგა მმართველობით არავითარ ფემინისტურის აზრების განხორციელებას არ ესწრაფის.

აშხტრ-უზნატი. პოლონელ-

ბის კლუბში დეპუტატი კოლიმერი ამტკიცებდა, აუცილებლად საქირთა შექმნის იქნას პარლამენტის საქმეების წარმოების რიგი; ავსტრიის კოლიმერის აზრით ახლო მომავალში დიდი ეკონომიური კრიზისი, ელის, რომელიც ინგლისი დამ განმეოვა გერმანიას და შემდეგ ავსტრიას მოედება. ამ განსაცდელისაგან ავსტრიას მხოლოდ ხელშეწყობის საბაჟო ტარიფი და სავაჭრო ხელშეკრულებანი დაიხსნიან.

გერმანელი დასის მეთაურებმა ჩებებთან მოლაპარაკება დაიწყეს, რათა აიძულონ ისინი უკან წაიღონ მოთხოვნა იმის შესახებ, რომ ბოჰემიის საზღვარი გამგებლობაში ჩებური ენა იქნას სახმარებლად დაკანონებული და ჩებური უნივერსიტეტი იქნას გახსნილი მორავიაში. თუ ჩებები თანხმობას გამოაცხადებენ, გერმანელი დაპროკოპებს აღარ შექმნიან ბიუჯეტის განსახილველად. საეკვო კია, რომ შეთანხმება მოხდეს. ახალგაზრდ ჩებების მეთაურმა გეროლდმა ამას წინააღმდეგ გაზეთის თანამშრომელს თურმე უთხრა, აუცილებელი პირობა იმისი, რომ ჩებებმა ფარული ობსტრუქცია მოსპონო, ის არის, რომ დაკმაყოფილებულ იქნას მათი მოთხოვნა ენისა და უნივერსიტეტის შესახებ.

უზრან-გაზეთი იმდგან

(ამოკრებილი ანგები).

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფს გაბრიელ ჰანოტის აკადემიის სხდომაზე სიტყვა წარმოუთქვამს. ჰანოტი შეპყრობა იმათ აზრს, რომელიც საფრანგეთის დაცემას და გავლენის დაკარგვას უზინასწარმეტყველებენ ჰანოტი მიიჩნია, სხვათა შორის, ის უბედურება, რომელიც საფრანგეთის მედიაციის 1878 წელს ეწვია, როდესაც ფილპსკერამ ხალხს ათის მილიარდის ზარალი მიიყენა მდიდარი წყარო, რომელიც მთელ სახელმწიფოს ჰქვებავდა, უცრად მოისპოა. მაგრამ ფრანგის სულით არ დაცნენ. ახლის ძალითა და მხნობით შეუდგნენ ზრამს და მედინეობა წინააღმდეგ სარისხამდე აიყვანეს. ამ გვარი მაგალითები აშკარად მოაშობენ საფრანგეთის უნარს აღმოძინებისა და წინმსწავლობისას. ამას გარდა საფრანგეთ-პრუსიის ომის შემდეგ საფრანგეთმა ძალიან გააფართოვა თავისი ახალშენები, — ამ ახალშენებშია, ჰანოტის აზრით, მომავალი საფრანგეთისა.

ინგლისის მეფის ედუარდ მეექვსე გარდა, სწერს ერთი ინგლისური გაზეთი, ბრიტანის კუნძულებზე სცხოვრობს მეორე მეფე. იმისი სამეფო კუნძული ბარდსუია, რომელიც სამის მილის მანძილზე მდებარეობს ნახევარ კუნძულ ალინ კარვანთ-შირიდან. მეფის ქვეშევრდობისა ამ კუნძულზე სულ 77 კაცი სცხოვრობს. მეფე პირდაპირი შთამომავალი უთვალავ გამოგებისა, რომელიც უსწავარ დროდ-გან მეფობენ ამ კუნძულზე. ენაც საკუთარი აქვთ ამ კუნძულელებს. მეფე ამავე დროს ექიმიც არის და მასწავლებელიც. იგი არც მუშაობს თავილობს: წმირად მინდორში კართოფლისა სთხრის ხოლმე. მცხოვრებნი ქერთა, რძითა და ვრბოთი იკვებებიან. კუნძული სრულიად მოწყვეტილია დანარჩენ ქვეყანას; იქაურებმა არ იციან, რა არის გაზეთი, ან ჟურნალი. კუნძულს 370 დესეტინის ადგილი უჭირავს.

ჩინეთის პრინცი ცუნს, გერმანიაში ყოფნის დროს, მრავალი ორდენი დაურიგებია. სხვათა შორის, როგორც გაზეთები გავსავლდნენ, ეს გიმნაზიისთვისაც მიუცია ორდენები. ცუნს სტუმრად მიუწვევია ბერლინიში ერთ წარჩინებულ კაცს.

თან პრინცი დიდ-ძალი ორდენები წაუღია მას პინძელთათვის დასარიგებლად. სადილს შემდეგ სახლის პატრონს წარუდგინა პრინციისათვის თავისი შვილი, გიმნაზიელი, და იმისი აზრები. პრინცი ძალიან გაჰხარებია ყმაწვილების ნახვა და სადილს შემდეგ თვით ორდენი მიუცია მათთვის. გიმნაზიელი სიხარულით ცას მოსწევინა. მათ უკვე შეუადგომლობა აღუძრავთ, სადაც ჯერ არს. რათა ნება მიეცეთ ამ ორდენების ტარებისა.

ერთი ნიუ-იორკელი გაზეთი უცნაურ ამბავს იუწყება. ამას წინააღმდეგ ნიუ-იორკში გარდაიცვალა ერთი მოხუცი ქალი, გვარად კეტი. გაზეთი ამტკიცებს, რომ ეს მოხუცი იყო და არა იმპერატრიცა ფრიდრიხი, გერმანიის იმპერატორის დედა, დედოფალ ვიქტორიის უფროსი ქალი შვილია, კენტი, რომელიც 14 წლიდან ნიუ-იორკში სცხოვრობდა, დაიბადა 1840 წელს: 1 ნოემბერს, სწორედ იმ წელს, რა წლითაც ფრიდრიხის დაბადება აღნიშნული. გაზეთის სიტყვით, ბავშვები შეუცვლიათ, მეფის ქალი პარიზში გაუგზავნიათ და იმის ადგილი გერმანიის მომავალ დედოფლისთვის დაუთმიათ კენტი რამდენსამე წელს პარიზში სცხოვრობდა. იქ თვე და თვე ჰენსო. ეძლეოდა მეფის სახელით ერთის სასულიერო პირისაგან. ამ სასულიერო პირის სიკვდილის შემდეგ, პენსიას დედოფლის ვიქტორიის მეტელს აძლევდა. კენტი დიდი თხზულება დაუწერია, სადაც აუწერია თურმე თავისი ჩამომავლობა. ამ წიგნის გამოცემა გერმანიისა და ინგლისში აუკრძალავთ.

საბანსო

უპანონომის დაპანონება რამდენად კანონიერია?

„ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წლიურ კრებაზე 11 ამა ნოემბერს, სანამ გამგეობის სამის წევრის არჩევანს წყუდებოდნენ, საზოგადოების ზოგიერთი წევრი შეეკითხა გამგეობას, საზოგადოებაში ხმა გაავრცელებული, რომ 4 ნოემბერს მოხდა გამგეობის წევრების არჩევანში ვითომც მონაწილეობა მიეღოს ისეთ პირებს, რომლებიც საზოგადოების წევრებად არ ირიცხებოდნენ, და რამდენად მართალია ეს ხმა?

„ცნობის ფურცლის“ მეთაურმა და გამგე გიორგი მიხეილის ძე ლასხივილიმ განუცხადა საზოგადო კრებას, რომ ეს ხმა შეუძლებელია და განმარტა, რომ მართალია არჩევანებში მონაწილეობა მივიღე, მაგრამ, ჩემის აზრით, ამის უფლებაც უნდა მქონოდა, რადგანაც მე არჩეული ვიყავი საზოგადოების წევრად, როგორც მასხოგ, 1895 ან 1896 წელს, ქ-ნ მარამ დემურია და სხვებთან ერთად. მართალია, განაგრძო ბ-ნ ლასხივილი, წევრად არჩევის დროს საწევრო ფული არ შემომიტანია, მაგრამ ამით სრულიად ჩემი უფლება არ ირღვევა, რადგანაც საწევრო ფული 28 წარსულ ოქტომბერს შემოვიტანე და, მაშასადამე, საზოგადოების წევრთა კრების გადაწყვეტილებების თანხმად, მას შემდეგ მე საზოგადოების წევრად უნდა ვითვლებოდე.

შემდეგის ბასილგან გამოიკვია, რომ ნაფიც ვექილს ბ-ნ გრძელი-შილასაც მიუღია 4 ნოემბერს არჩევანებში მონაწილეობა იმავე უფლებით, რა უფლებითაც ბ-ნ გიორგი ლასხივილი მიიღო. კრებაზე გამოცხადებულ იქნა აგრეთვე, რომ ზაქარია ყაზახივილის ვითომც ორჯერ კენჭი უყრია: ერთი კენჭი თა-

ვის მხრით უნდა ჩაეგდო, ხოლო მეორე კი ზაქარია ჩოდრი-შვილის მაგარად. ბ-ნ ყაზახივილიმ განუმარტა საზოგადოებას, რომ მან, მართალია, ორჯერ ჩამოუარა საარჩევანო ყუთებს, მხოლოდ მეორედ ჩამოვიდის დროს ერთადერთ ყუთში ჩაგდო კენჭი, სახელად ბათუმის სკოლის შესახებ საარჩევანო ყუთში, რადგანაც პირველ კენჭების ჩამოტარების დროს დასახელებული ყუთი გამოიჩინა.

ბ-ნ ყაზახივილის განმარტება შეამოწმა ბ-ნ არისტოტელ ქუთათელამც, რომელმაც განუმარტა საზოგადო კრებას, რომ ბ-ნ ყაზახივილი მის წინ მიდიდა და არც ერთ ყუთში კენჭი არ ჩაუგდია გარდა ბათუმისაში. საზოგადო კრებამ სარწმუნოდ მიიღო ბ-ნ ყაზახივილის და არისტოტელ ქუთათელადის საქმის განმარტება და პირველის მოქმედება არჩევანების დროს კანონიერად სცნო. ბ-ნ ლასხივილის და გველიშვილის არჩევანებში მონაწილეობის მიღებაც საზოგადო კრების მიერ კანონიერად იქნა ჩათვლილი.

გამგეობის მდივანდ ნამყოფმა, ბ-ნ დ. კარიკაშვილმა განუმარტა საზოგადო კრებას, რომ ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი, როგორც გვახსოვს, არჩეული იყვნენ წევრებად, ხოლო საწევრო ფული არ ჰქონდათ შემოტანილი და როცა-ც საწევრო ფულს შემოიტანდნენ, მას შემდეგ უნდა გაწევრებულიყვნენ. ამნიარად ბ-ნ კარიკაშვილის განცხადება საზოგადო კრებამ საბუთაზად ჩასთვალა და 4 ნოემბერს მოხდა არჩევანებიც კანონიერად სცნო.

აი ფაქტიური მხარე საქმის გარემოებისა. ახლა თავისთავად იბადება კითხვა, რამოდენად სამართლიანი მსჯავრი დასდო საზოგადო კრებამ ზემო მოყვანილ ფაქტებს, რამდენად კანონიერია ბ-ნ ლასხივილის და გველიშვილის 4 ნოემბრის არჩევანებში მონაწილეობის მიღებები? გაკანონიერება. მახსოვრობა ცვლებადია. „როგორც გვახსოვს“, „როგორც ჩვენ გვავანდებ“ და სხვა ამგვარები ვერაფერი სარწმუნო საბუთია კაცის ამა თუ იმ უფლების აღსადგენად. ამიტომ ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი მართლაც თუ ამ ოთხი-ხუთის წლის წინ წევრებად იყვნენ არჩეულნი, ამის უტყუარი საბუთი თვით საზოგადოების კანცელარიაში უნდა მოიპოვებოდეს, თვით კანცელიარიის ოფიციალური ქაღალდები უნდა ამოწმებდეს, რომ მართლაც ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი საზოგადოების კრების მიერ არჩეულნი იყვნენ წევრებად იმ პირობით, თუ იგინი ოდესმე ფულს შეიტანდნენ საზოგადოების კასაში.

ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოების კანცელიარიის საქმეები ამ საგნის შესახებ არავითარ ცნობებს არ გვაძლევს. ბ-ნ გიორგი ლასხივილიმ განაცხადა საზოგადო კრებაზე, ვითომც იგი არჩეული უნდა ყოფილიყოს ქ-ნ მარამ დემურისთან ერთად 1895 ან 1896 წელს. ქ-ნ მარამ დემურისის არჩეულია 1896 წლის საზოგადო კრებაზე, ხოლო ამა წლის საზოგადო კრების პროტოკოლი წევრების არჩევის შესახებ სიტყვა-სიტყვით შემდეგს მო-

ვითბობს: „მას უკან იქმნა სია წევრობის მსურველთა. კრებამ დაადგინა: მიღებულ იქმნა წევრებად ის კანდიდატნი, რომელთაც შემოტანილი აქვთ უკვე საწევრო გარდასახალი, ხოლო ისინი, რომელთაც არა აქვთ ჯერ კიდევ შემოტანილი საწევრო ფული, ჩაირიცხნენ წევრებად იმ დღიდან, როდესაც შემოიტანენ ფულსა. აი სია იმ პირთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული (ჩამოთვლილია წევრების სახელი და გვარი) და აგრეთვე იმ პირთა, რომელთაც არ შემოუტანიათ საწევრო ფული“ (აქვე დასახელებულია 10 პირი და მათ შორის მარამ დემურიაც. იხილეთ საზ. წლიურ კრებების პროტოკოლები), ხოლო ბ-ნ ლასხივილიმ და გველიშვილიმ სიტყვა, კრიტიკა არ არის დაძრული.

აგრეთვე ვერ იპოვნით ვერავითარ საბუთს ამ საგნის შესახებ საზოგადოების წლიურ კრებების ოქმებში საზოგადოების დაარსებიდანვე ვიდრე დღემდის.

ბ-ნ დ. კარიკაშვილის, სხვათა შორის, განმარტება, რომ ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი საზოგადო კრების მიერ არჩეულ იყვნენ წევრებადა, სიმართლეს მოკლებულია; მართლაც რომ ეს ასე ყოფილიყო, ბ-ნ დ. კარიკაშვილი, როგორც იშვიათად დახელოვნებული გამგეობის მდივანი, უსათუოდ ბ-ნ ლასხივილს და გველიშვილს მოატყუვდა იმ წევრთა სიაში, რომელთაც არა აქვთ ჯერ კიდევ შემოტანილი საწევრო ფული, მაგრამ რომელიც უნდა ჩაირიცხნენ წევრებად იმ დღიდან, როდესაც შემოიტანენ ფულსა. ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი უთუოდ ამ სიაში უნდა ყოფილიყვნენ აღნიშნულნი, წინააღმდეგ შემთხვევაში დასახელებულ პირთ კიდევაც რომ საწევრო ფული შემოეტანათ, არც ბ-ნ დ. კარიკაშვილს და, მით უფრო, არც მის მოადგილეთ, ბ-ნ მიქაბერიძეს და მირიანაშვილს, არავითარი უფლება არა ჰქონდათ ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი საზოგადოების წევრთა რიცხვში მოეკითათ, რადგანაც მათ ხელში არავითარი ამის გასამართლებელი სიბუთები არ ექმნებოდათ. საზოგადო კრებების ოქმებში ამ პირების შესახებ არავითარი დადგენილება არ მოიპოვება, მაშასადამე, საწევრო ფულის შემოტანას და რაღაც შინაურულად წევრობის სურვილის გამოცხადებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც ექმნება არასოდეს.

დროებით წარმოვიდგინოთ, რომ ბ-ნ ლასხივილი და გველიშვილი მართლაც საზოგადო კრებამ აირჩია; წარმოვიდგინოთ აგრეთვე, რომ ბ-ნ დ. კარიკაშვილს „მასხოვრობამ“ არ უმტყუნა; რითღა უნდა ავსნათ ის ფაქტი, რომ ბ-ნ ლასხივილი 4 ნოემბერს წაკითხულ საზოგადოების წევრთა კანდიდატების სიაში შეტანილია და მის კეთილ სიამელო თავდებებდ არიან დასახელებულნი საზოგადოების ნამდვილი წევრნი: ბ. მირიანაშვილი, ვ. ლიპარტიანიძე, ივ. ზურაბიშვილი და ალ. ქყონია? (იხ. საზ. კანცელარიაში 4 ნომბ. კრების კანდიდატების სია) თუ-კი

